ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31220838**
თარიღი: **24/03/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 3

ქ. ლანჩხუთი 22.03.2022 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე: **კახაბერ ასკურავა.**

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: **გიორგი გოგუაძე.**

ფრაქციის მდივანი: **ირმა მგელაძე.**

ფრაქციის წევრი: **გივი ცინცაძე.**

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: **როლანდ ლაშხია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი: **ია ჩხაიძე,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ხელაძე.**

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი.**

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

3. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

6. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანი ზაზა სულაბერიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ სააკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა ითხოვს, სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლას მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენის მფლობელის, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, ახალგაზრდობისთვის მაგალითის მიმცემის, სასახელო ჩიბათელის, პატრიოტი ქართველის და ამავე სკოლის ყოფილი მოსწავლის, ზაზა სულაბერიძის სახელი. გიორგი ხელაძემ ასევე აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა სკოლის

პედაგოგიური საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს სხდომა, სადაც დაფიქსირდა სკოლისა და სოფლის პოზიცია, ამიტომ შემოდის წინადადებით, რომ სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლას მიენიჭოს ზაზა სულაბერიძის სახელი.

გიორგი გოგუაძემ წამოაყენა წინადადება, რომ მოხარული იქნება, თუ სოფელ ჩიბათის სკოლის ეზოში გაკეთდება ზაზა სულაბერიძის ბიუსტი ან მემორიალური დაფა, რომლის ფინანსურ უზრუნველყოფას გააკეთებს მუნიციპალიტეტი.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში თავისუფლების ქუჩის მიმდებარე ქუჩისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ ისაუბრა იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ ქალაქ ლანჩხუთში, თავისუფლების ქუჩაზე არსებული ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭების შესახებ იმსჯელა იურიდიულ საკითხთა კომისიამ და მიზანშეწონილად ჩათვალა ჩიხისთვის სახელის მინიჭება. მან ასევე აღნიშნა, რომ მოსულია დასკვნა და ხდება ჩიხის სტატუსის შეცვლა. ჩიხი გადაკეთდება ქუჩად და მიენიჭება დარეჯან ქინქლაძის სახელი. გიორგი ხელაძემ ასევე აღნიშნა, რომ დარეჯან ქინქლაძე იყო საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი და საპატიო ნიშნის ორდენოსანი.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ია ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ორგანიზებული – საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზდული ღონისძიებების მონაწილე გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვრა შემდეგი სახით:

ა) გუნდი: I ადგილი - 500 ლარი; II ადგილი - 300 ლარი; III ადგილი - 200 ლარი;

ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი- 300 ლარი; II ადგილი - 200 ლარი; III ადგილი - 100 ლარი.“

ირმა მგელაძე დაინტერესდა, თუ როგორ ხდება ლელოს ღონისძიების დაფინანსება, რაზეც ია ჩხაიძემ უპასუხა, რომ 2 წელია პანდემიის გამო ლელო არ ჩატარებულა. ყოველწლიურად ხდება ფასების ზრდა, ამიტომ მოცემული მომენტისთვის ხდება შეფასება და ხარჯის

განსაზღვრა. ია ჩხაიძემ ასევე აღნიშნა, რომ პანდემია უკვე ხდება მართვადი და ამიტომ მიმდინარე წელს ყველა პროგრამული ღონისძიება შეფასდება წინასწარ, გაიწერება ბიუჯეტში, იქნება გამჭვირვალე და უახლოეს თვეებში დაიდება კულტურის სტრატეგიული გეგმა.

კახაბერ ასკურავამ ფრაქციის მდივანს, ირმა მგელაძეს მიმართა თხოვნით, რომ აღნიშნული საკითხი შეისწავლოს დეტალურად. მან ასევე ია ჩხაიძეს შესთავაზა წარმოადგინოს მისი ხედვები, რასაც ფრაქცია გადახედავს, შეისწავლის, გამოთქვამს შენიშვნებს და შეძლებისდაგვარად დაეხმარება მათ განხორციელებაში. ია ჩხაიძემ სიამოვნებით მიიღო შემოთავაზება და აღნიშნა, რომ მზად არის თანამშრომლობისთვის.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტეის მერიის საფინანასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური თანახმაა გამოიყოს 200000 ლარი საფეხბურთო კლუბ „გურიასთვის“ მიზნობრიობის განსაზღვრით. დაფინანსების უზრუნველყოფა განხორციელდეს არაფინანსური აქტივების კლების ხარჯზე და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ 2016 წლიდან 2021 წლის ჩათვლით ადგილობრივი ბიუჯეტი გათავისუფლდა, ფეხბურთი აღარ ფინანსდებოდა და ეხლა როგორ ხდება აღნიშნული თანხის გამოყოფა, რაზეც როლანდ ლაშხიამ გააკეთა განმარტება, რომ 2016 წელს გაიცა 632000 ლარი და გასულ წელს 75000 ლარი. მუნიციპალიტეტს ვალდებულებას არავინ არ აკისრებს აღნიშნული თანხის გაცემასთან დაკავშირებით და ეს ყველაფერი ხდება შეთანხმებით.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ისაუბრა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ ნოემბრის თვეში თვითმმართველობის კოდექსში შევიდა რიგი ცვლილებები. სულ არის 130 მუხლი რეგლამენტში და 22-ში შედის ცვლილება. კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ადრე სადეპუტატო უფლებამოსილების ანაზღაურება განისაზღვრებოდა 397 ლარით, ეხლა კი შემოდიან 680 ლარით და ასევე არის საუბარი იმის შესახებ, რომ თავისუფალ დეპუტატებს (სულ 7) მიეცეთ საწვავის ლიმიტი 40-50 ლიტრის ოდენობით.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ცალკე გამოყოფილი საწვავი შექმნის პრობლემას.

იმ შემადგენლობას, რომლებსაც არა აქვთ თანამდებობები და არიან ფრაქციის წევრები, მათი ლიმიტი დაემატოს ფრაქციას და თავმჯდომარეები განსაზღვრავენ თუ რა ოდენობით საწვავი გამოუყონ მათ.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა საკითხები.

კახაბერ ასკურავა გამოვიდა ინიციატივით, რომ N1 საჯარო სკოლას მიენიჭოს ნოე ჟორდანიას სახელი, რომელიც დაიბადა ლანჩხუთში და 3 წელი სწავლობდა აღნიშნულ სკოლაში. მან ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია სკოლის ფასადს დაუბრუნდეს ის იერსახე, რაც თავდაპირველად ჰქონდა. რაზეც ია ჩხაიძემ უპასუხა, რომ იგეგმება სკოლის სრული რეაბილიტაცია.

ფრაქციის თავმჯდომარემ ია ჩხაიძეს დაუსვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ უმცირდება თუ არა ქალთა საფეხბურთო კლუბს დაფინანსება და არის თუ არა სამსახურის უფროსი საქმის კურსში ამასთან დაკავშირებით. ია ჩხაიძემ გააკეთა განმარტება, რომ დაფინანსება არ მცირდება და წელსაც განისაზღვრება 150000 ლარით. გუნდი ასევე ფინანსდება ლიბერთი ბანკის მიერ და ჰყავთ სხვა სპონსორებიც.

კახაბერ ასკურავამ გიორგი გოგუაძეს დაავალა, რომ მოიძიოს დეტალური ინფორმაცია ქალთა და მამაკაცთა საფეხბურთო გუნდებთან დაკავშირებით და ამ საკითხზე ერთ თვეში გაიმართოს ფრაქციის სხდომა, რასაც გიორგი გოგუაძე სიამოვნებით დათანხმდა.

კახაბერ ასკურავამ წამოაყენა წინადადება, რომ მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის შემდეგ, რომელიც წელიწადში 2-ჯერ კეთდება, ყველა ფრაქციამ და კომისიამ წარმოადგინოს მერის მუშაობის შეფასება და რეგლამენტით განისაზღვროს თუ რამდენი წუთი დაეთმობა მათ ამ შეფასებისთვის.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ფრაქციას რეგლამენტით აქვს უფლება, მოიყვანოს მოწვეული, დროებითი სპეციალისტი ფინანსური ანაზღაურებით. მან განმარტა, რომ ფრაქცია იწყებს ისეთი საკითხების შესწავლას, რომლის სპეციალისტი საკრებულოს აპარატს არ ჰყავს, ამიტომ მან მოითხოვა ბიუჯეტში აუცილებლად იყოს გათვალისწინებული აღნიშნული საკითხი.

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ ასევე დააყენა საკითხი, რომ აუცილებლად გადასახედია პრიორიტეტების დოკუმენტი, რაზეც როლანდ ლაშხიამ უპასუხა, რომ პირველი მარტიდან დაიწყო აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ მოხარული იქნება, თუ ლანჩხუთში არსებულ ერთ-ერთ სკვერს მიენიჭება უკრაინის სახელი. მან ასევე დასვა საკითხი, რომ საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტის მერმა წარმოადგინოს ანგარიში უკრაინაში გაგზავნილ ჰუმანიტარულ დახმარებასთან დაკავშირებით, რაში დაიხარჯა სარეზერვო ფონდი, არის თუ არა შტაბი შექმნილი, ვინ უწევს კოორდინაციას, რომელი აფთიაქებიდანაა წამლები შეძენილი და რა მიმართულებით გაიგზავნა ტვირთი. ასევე მას აინტერესებს, არის თუ არა აღრიცხული ვინ იბრძვის ლანჩხუთის რაიონიდან უკრაინაში და თუ არის ვინმე ჩვენს რაიონში შემოსული ლტოლვილის

სტატუსით.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ დიდი ხანია დაწყებულია გაგურის სკოლისთვის ზაზა ჩხაიძის, N3 საჯარო სკოლისთვის ვაჟა თოდუას და წყალწმინდის სკოლისთვის დათო რამიშვილის სახელის მინიჭება. კარგი იქნება, თუ ეს თემები წამოიწევა, რადგან ეს ბიჭები გმირები არიან. მან ასევე აღნიშნა, რომ გვიმბალაურში მოუწესრიგებელია ჯამბულათ ხოფერიას მემორიალური დაფა და აღნიშნა, რომ ვინმე აუცილებლად უნდა იყოს პასუხისმგებელი, ვინც ასეთ საკითხებს დროულად მოაგვარებს.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.03.2022 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახაბერ ასკურავა	14:00	
2	გიორგი გოგუაძე	13:52	
3	ირმა მგელაძე	14:00	
4	გივი ცინცაძე	14 00	